ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

საკრებულოს წევრი კახაბერ გელაშვილი

არჩევის წესი-მაჟორიტარული ელიაწმინდის ადმინისტრაციული ერთეული

საანგარიშო პერიოდი 30.10.2025-30.10.2026 წელი.

თანამდებობა ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე. ჩატარებული მაქვს 3 კომისიის სხდომა. ამავდროულად ვარ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო,საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის წევრი

საანგარიშო პერიოდში ჩატარებული 17 საკრებულოს სხდომიდან დასწრებული ვარ 13სხდომას. (3 სხდომა საპატიო. შვებულება) სამანდატო,საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის ჩატარებული აქვს 10 სხდომა დასწრებული ვარ 10 სხდომას. ასევე ვარ ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის სატენდერო კომისიის წევრი და ახალციხის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს წევრი. საანგარიშო პერიოდში მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხებია:

1. ახალციხის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის და 2026-2029 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცება.
2. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ახალციხის მუნიციპალიტეტში 2026 წელს დასაფინანსებელი პროექტების მიზნით მომზადებული წინადადებების მოწონება.

3. 2025 წლის მოწვევის ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობა.
4. ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფ მუგარეთში მდებარე სახელწოდების არ მქონე ქუჩისთვის სახელის მინიჭება.
5. ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფ კლდეში მდებარე სახელწოდების არ მქონე ქუჩისთვის სახელის მინიჭება.
6. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ახალციხის მუნიციპალიტეტში 2026 წელს დასაფინანსებელი პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონება.
7. ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველი მოადგილის არჩევა.

მოსახლეობასთან შეხვედრები ხორციელდება სისტემარულად, როგორც სამუშაო ადგილზე ასევე გასვლით შეხვედრებზეც. მოსახლეობის მხრიდან ძირითადად ხდება სოციალური და ინფრასტუქტურული საკითხების დასახელება. კერძოდ:

სოფ ანის, ჭვინთს და ელიაწმინდის შიდა გზების მოწესრიგება.

სოფ ანში, ჭვინთასა და ელიაწმინდაში სანიაღვრე არხების მოწყობა.

სოფ ანის,ჭვინთის და ელიაწმინდის სასმელი წყლის პრობლემის მოგვარება.

მოსაცდელის მოწყობა სოფ ელიაწმინდაში.

სოფ ჭვინთაში ე.წ მოსახლეობის შეკრების ადგილის აშენება.

სოფ ელიაწმინდაში გარე-განათების მოწყობა.

ხოლო დანარჩენი პრობლემების მოგვარების მიზნით მერიის შესაბამის თანამდებობის პირებთან მაქვს სისტემატური კომუნიკაცია.

ასევე ვღებულობ ტრენინგებში, შეხვედრებსა და სხვა ღონისძიებებში მონაწილეობას.

კახაბერ გელაშვილი

წარდგენის თარიღი : 30.10.2026